პრესრელიზი

ბერშუეთელი მოსწავლეები განახლებულ სპორტულ დარბაზში ივარჯიშებენ

"საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის,, თანამონაწილეობით საოკუპაციო ზოლთან მდებარე სოფელ ბერშუეთის სკოლის სპორტული დარბაზი განახლებულია. შენობის რეაბილიტაციის მიზნით შარშან,კომპანია PRMC-ს და ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოება მომავლისთვის“ სოციალური პროექტის – „ძლიერები არ ძალადობენ“ ფარგლებში საქველმოქმედო აუქციონი გიამართა. შესული თანხით დარბაზი გადაიხურა და გასახდელები სრულად განახლდა. დამონტაჟდა გათბობის სისტემა, სპორტული ინვენტარი და აქსესუარები.

შეგახსენებთ, რომ სკოლის დახმარების მიზნით "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი,, 18 დეკემბერს, გამართულ საქველმოქმედო აუქციონში ჩაერთო. კომპანიამ აუქციონზე 2 ლოტი- ზაზა ფაჩულიას მაისური და ტოჩინოშინის კიმონო და ობი შეიძინა.

კომპანია ''ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერგიის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

"Georgian Industrial Group" Ltd
Gazapkhuli str. 18, 0177, Tbilisi
Tel.: +995 32 221 01 87
Fax: +995 32 221 01 89
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
E-mail: n_bandzeladze@gig.ge

შემოგვიერთდით:
Georgian Industrial Group Holding